უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები

2024

დემოკრატიის
კვლევის
ინსტიტუტი
(DRI)

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა “ ფარგლებში. პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ორგანიზაცია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED). პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

შესავალი 3

1. მეთოდოლოგია 4

2. უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა 6

2.1. 2018 წლიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესული ცვლილებები 7

2.2. საკანონმდებლო თვალსაზრისით არსებული გამოწვევები 16

3. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი და პრაქტიკული გამოწვევები 21

3.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე 2023 წელს განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი 21

3.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაზე 2023 წელს განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი 29

3.3. თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაზე 2023 წელს განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი 39

4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის ანგარიში .. 44

ძირითადი მიგნებები 46

შესავალი

სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამსახურების ბუნება, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საიდუმლოების მაღალი ხარისხით ხასიათდება, რაც სათანადო კონტროლის არარსებობის პირობებში, ზრდის უსაფრთხოების სამსახურების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის რისკებს.

უსაფრთხოების სამსახურების ფართო მანდატიდან და საიდუმლო ბუნებიდან გამომდინარე საფრთხეების დასაზღვევად, დემოკრატიული საზოგადოებები ეროვნულ პარლამენტებს დემოკრატიული კონტროლის ფართო უფლებამოსილებებით აღჭურავენ, რადგან წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განხორციელებულ ზედამხედველობას „დემოკრატიული ლეგიტიმაციის“ განსაკუთრებით მაღალი ხარისხი გააჩნია.

საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებები უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ზედამხედველობის კუთხით ნაკლოვანია. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, საპარლამენტო ოპოზიცია ვერ ახერხებს სრულყოფილად გამოიყენოს უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის ის შედარებით მწირი მექანიზმები, რასაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ადგენს.

წინამდებარე ანგარიშში, რომელიც უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის მონიტორინგის ერთწლიან პერიოდს აჯამებს, გაანალიზებულია და კრიტიკულად არის შეფასებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე საპარლამენტო ზედამხედველობისა და კონტროლის არსებული მექანიზმები: თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფის უფლებამოსილება, პარლამენტის წევრის წერილობითი კითხვისა და ინტერპელაციის მექანიზმი, ანგარიშვალდებული პირის პლენარულ და კომიტეტის სხდომაზე დაბარების მექანიზმი, დროებითი კომისიები, როგორც კონტროლის საშუალება. ასევე, წარმოდგენილია დაკვირვების შედეგად შემუშავებული მიგნებები.

საპარლამენტო საქმიანობაზე ერთწლიანმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი კვლავ არაეფექტიანია, რაც უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ნების არარსებობითაა განპირობებული. 2023 წელსაც გამოწვევას წარმოადგენდა საპარლამენტო ოპოზიციის კონტროლის ლიმიტირებული მექანიზმები და უმრავლესობის მცდელობა, ხელი შეეშალა ოპოზიციისთვის საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებაში. პრობლემური იყო შესაბამისი უწყების ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხიც - სათანადო წესით დაბარების მიუხედავად, შინაგან საქმეთა მინისტრი კომიტეტის სხდომას არ დაესწრო. თუმცა, განსხვავებით წინა წლებისგან, სიახლეს წარმოადგენდა ინტერპელაციის წესით შინაგან საქმეთა მინისტრის პარლამენტში დაბარება. ასევე, გასული წლებისაგან განსხვავებით, ამოქმედდა უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებასთან მიმართებით კომიტეტზე დაბარების მექანიზმი - თავდაცვის მინისტრი, ოპოზიციური ფრაქციის ინიციატივით, სხდომაზე გამოცხადდა.

დოკუმენტის პირველ თავში განმარტებულია მეთოდოლოგია, რითაც დოკუმენტზე მუშაობის დროს ვიხელმძღვანელეთ, მეორე თავში გაანალიზებულია უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა, ამ მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული გამოწვევები, მესამე თავი კი მოიცავს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენებასა და პრაქტიკული გამოწვევების საკითხს. ანგარიშის მეოთხე თავში მოცემულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ანგარიშის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებული გამოწვევები, ხოლო დასასრულს მოცემულია შესაბამისი მიგნებები.

1. მეთოდოლოგია

ანგარიშში განხილულია საქართველოს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები, მათი გამოყენების სიხშირე და ეფექტიანობა. ასევე, შეფასებულია უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხი. დოკუმე-

ნტში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განხილულია ევროპული კომისიის 12 რეკომენდაციის[1] შესრულების ფარგლებში საპარლამენტო ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკაში მათ აღსრულებასთან დაკავშირებული გამოწვევები. სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდის კუთხით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში 2018 წლიდან შესული ძირითადად დადებითი ცვლილებების მიუხედავად, ანგარიში წარმოაჩენს პრაქტიკული თვალსაზრისით არსებულ არაერთ გამოწვევას.

კვლევის მიზნებისთვის, უსაფრთხოების სექტორში მოიაზრება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში, ასევე „სუს-ი“), საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები. ანგარიში წარმოადგენს ერთი წლის შეფასებას და მოიცავს 2023 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

კვლევა ეფუძნება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებულ მონაცემებს, იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად იყენებს საქართველოს პარლამენტი რეგლამენტით გათვალისწინებულ მექანიზმებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან მიმართებით; ზედამხედველობა/კონტროლის შესახებ მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლას და საჯარო დაწესებულებების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის/მონაცემების ანალიზს.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ანგარიშის შემუშავების პროცესში შემდეგი მეთოდოლოგია გამოვიყენეთ:

მონაცემების დამუშავება და ანალიზი - კვლევის საწყის ეტაპზე განვსაზღვრეთ შესასწავლი ნორმატიული აქტების ნუსხა და დავამუ-

[1] ec.europa.eu (ვებგვერდი), დასკვნები და რეკომენდაციები, ევროკომისიის მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოს განაცხადის თაობაზე, 2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

შავეთ საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებული მონაცემები.

სამაგიდო კვლევა - შევკრიბეთ და გავაანალიზეთ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია და აღნიშნული მონაცემები კვლევის პროცესში გამოვიყენეთ. ამასთან, ანგარიშში გამოვიყენეთ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები.

ინტერვიუები - საპარლამენტო ფრაქციების/პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან ჩავატარეთ ინტერვიუები, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების დროს არსებული გამოწვევების სიღრმისეული გააზრების მიზნით.

2. უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა

უსაფრთხოების სექტორი მოიცავს უსაფრთხოების სექტორის ყველა ინსტიტუტს და სტრუქტურას, რომელთა მოვალეობაა საზოგადოების დაცვა დანაშაულისგან, არეულობისა და ძალადობისგან.[2] ამ მოვალეობის შესასრულებლად, მათ ხელში კონცენტრირებულია ფართო უფლებამოსილება. უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ინფორმაციის დასაიდუმლოების მაღალი ხარისხია.

არადემოკრატიულ რეჟიმებში, უსაფრთხოების სამსახურებს თავისუფალი აზრის, პოლიტიკური ოპონენტებისა და სიტყვის თავისუფლების დასათრგუნად იყენებენ. ასეთ სისტემებში უსაფრთხოების სამსახურებს ფართო მანდატი და უკონტროლო ძალაუფლება აქვთ. დემოკრატიული მმართველობის დამყარების შემდეგ კი, ხელისუფლებებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას სამართლებრივი და ინსტიტუციური ბერკეტების შექმნა წარმოადგენს რათა

[2] securitysectorintegrity.com (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nJOQT

შეაკავონ უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის შესაძლო ფაქტები.[3]

უსაფრთხოების სექტორის მართვის ჟენევის ცენტრი (DCAF) უსაფრთხოების სექტორში რეფორმისა და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვის მნიშვნელობაზე საუბრობს.[4] კარგი მმართველობის პრინციპებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე დემოკრატიულ ზედამხედველობას, ამ სტრუქტურების ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას ეთმობა.

ეფექტიანი საზედამხედველო მექანიზმების საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებისა და მისი პრაქტიკაში აქტიური გამოყენების მთავარი მიზანი, უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების მანდატის კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენება, საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციების გაცემის გზით, საქმიანობის გაუმჯობესება და მათ მიერ, უფლებამოსილების გადამეტების რისკების შემცირებაა.

2.1. 2018 წლიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესული ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 6 დეკემბერს, რიგგარეშე სხდომაზე, 77 ხმით, მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტი. განმარტებითი ბარათის მიხედვით, ახალი რეგლამენტის მიღების ძირითადი მიზანი საკანონმდებლო ორგანოს ძლიერ ინსტიტუციად ფორმირება იყო. რეგლამენტში ძირითადი ცვლილებები პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებას, მათ შორის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე ზედამხედველობას, საკანონმდებლო პროცესის დახვეწას, პარლამენტის სტრუქტურასთან დაკავშირებულ ცვლილებ-

[3] ჰანს ბორნი, იან ლეიფი, დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივი სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა, 2005, გვ.34, ხელმისაწვდომია: https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/hb_makingintel_georgian.pdf

[4] dcaf.ch (ვებგვერდი), „უსაფრთხოების სექტორის რეფორმა“, 2019, ხელმისაწვდომია: https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/DCAF_BG_02_SecuritySectorReform_Nov2022.pdf

ებსა და თავად პარლამენტის ანგარიშვალდებულების გაზრდას ეხება.[5] პარლამენტის ახალმა რეგლამენტმა დანერგა ახალი და დახვეწა ზედამხედველობის მანამდე მოქმედი მექანიზმები.

მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა, სახელმწიფო უწყებებზე დემოკრატიული კონტროლის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების საპასუხოდ, 2022 წლის 17 ივნისს, ევროპულმა კომისიამ საქართველოს ხელისუფლებას პრიორიტეტად საპარლამენტო კონტროლის გაუმჯობესება განუსაზღვრა.[6] შესაბამისად, 2022 წელს გაჩნდა შესაძლებლობა, საქართველოს პარლამენტში ევროპული კომისიის პრიორიტეტების შესრულების ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებს არსებითი ნაბიჯები გადაედგათ უსაფრთხოების სექტორზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით. სამუშაო ჯგუფებმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენეს - საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციების განხილვაზე უარი თქვა, როგორც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან, ასევე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა.

2023 წლის 8 ივნისს ევროპულმა კომისიამ ევროკავშირის გაფართოების ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიულ კონტროლთან დაკავშირებული გამოწვევები აღნიშნა და ხელისუფლებას მიუთითა, ამ უწყებებზე საპარლამენტო ზედამხედველობა გაეძლიერებინა.[7]

ქვემოთ განხილულია 2018 წლიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მოტივით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები.

---

[5] parliament.ge (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/207085

[6] ec.europa.eu (ვებგვერდი), ევროკომისიის მე-2 პრიორიტეტი: ანგარიშვალდებულ უწყებებზე ზედამხედველობის გაძლიერება, 2022, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

[7] Europa.eu (ვებგვერდი), ევროკომისიის ევროკავშირის გაფართოების ყოველწლიური ანგარიში საქართველოსთან მიმართებით, 08.11.2023, ხელმისაწვდომია: https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/86d42452-7eee-11ee-99ba-01aa75ed71a1/language-en

ნდობის ჯგუფი

2018 წელს, პარლამენტის რეგლამენტის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე, ნდობის ჯგუფის საქმიანობა და უფლებამოსილება კანონით განისაზღვრებოდა.[8] საქართველოს პარლამენტის ახალ რეგლამენტში „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმების ნაწილი უცვლელად გადმოვიდა. მაგალითად, იგივე დარჩა ნდობის ჯგუფის შემადგენლობა და დაკომპლექტების წესი, ნდობის ჯგუფის წევრად დასახელებული პირის შემოწმების პროცედურა.

ძალადაკარგული კანონისგან განსხვავებით, შემოწმების მიზნით ვიზიტი შესაძლებელი გახდა სხვა უწყებებშიც. მოქმედ რეგლამენტში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით, ნდობის ჯგუფი ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში მიმართოს საგამოძიებო ორგანოს და მიმართვას დაურთოს მის ხელთ არსებული მასალები. ძალადაკარგული კანონის მიხედვით, ეს ვალდებულება მხოლოდ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსთან მიმართებით არსებობდა.

2022 წლის ნოემბერში, ევროპული კომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში, პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებები შევიდა. პარლამენტის კომიტეტებთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა არ განიხილეს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურებზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმს უფრო მოქნილს და ეფექტიანს გახდიდა.

2023 წლის 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში[9] ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სამსახურებზე საპარლამენტო ზედამხედველობა, მათ შორის, ნდობის ჯგუფის გზით, შეზღუდულია

---

[8] საქართველოს კანონი „ნდობის ჯგუფის შესახებ“, ძალადაკარგულია - 06.12.2018, №3875, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32428?publication=12

[9] Europa.eu (ვებგვერდი), ევროკომისიის ევროკავშირის გაფართოების ყოველწლიური ანგარიში საქართველოსთან მიმართებით, გვ. 15, 08.11.2023, ხელმისაწვდომია: https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/86d42452-7eee-11ee-99ba-01aa75ed71a1/language-en.

და შეხვედრებში მხოლოდ უმრავლესობის სამი წევრი მონაწილეობს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობის გაძლიერება შესასრულებლად ერთ-ერთ სავალდებულო ნაბიჯად განესაზღვრა.

მინისტრის საათი

2018 წლის რეგლამენტის სიახლეა მინისტრის საათი. მინისტრის საათი გულისხმობს წელიწადში ერთხელ საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრების (გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოსვლას სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ.

ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში, რეგლამენტის 153-ე მუხლში შესული ცვლილებით, მინისტრი ვალდებულია, შესაბამისი მოხსენება პარლამენტს წერილობითი ფორმით წარუდგინოს პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოსვლამდე არაუგვიანეს 5 დღისა.[10] აღნიშნულმა ცვლილებამ შექმნა შესაძლებლობა, დეპუტატებმა წინასწარ განსაზღვრონ იმ კითხვების შინაარსი, რასაც პლენარულ სხდომაზე მინისტრს დაუსვამენ.

პოლიტიკური დებატების გამართვის წესი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ახალ რედაქციაში შეცვლილია პოლიტიკური დებატების გამართვის წესი. თუ რეგლამენტის ძველი რედაქციის[11] მიხედვით, პოლიტიკური დებატების გამართვის მოთხოვნის უფლება პლენარული სამუშაო ციკლის განმავლობაში ფრაქციებს, უმრავლესობას და უმცირესობას ერთხელ ჰქონდათ, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის თანხმობა იყო საჭირო, რეგლამენტის

[10] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 153, პუნქტი 1, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

[11] საქართველოს პარლამენტის 2018 წლის დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, მუხლი 138, პუნქტი 1. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44

ახალი რედაქციით, გაზრდილია პოლიტიკური დებატების რაოდენობა (თვეში ერთხელ) და მისი გამართვისთვის საკმარისია პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნა.[12]

დროებითი საგამოძიებო კომისიები

ახალმა რეგლამენტმა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის წესი და კომისიის უფლებამოსილებები განსხვავებულად დაარეგულირა. თუ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ძველი რედაქციით, საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად რამდენიმე ეტაპიანი პროცედურა იყო საჭირო და გადაწყვეტილება პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიიღებოდა,[13] ახალმა რეგლამენტმა საგამოძიებო კომისიის შექმნის წინადადების ინიციირების უფლებამოსილება პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედს განუსაზღვრა, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კი, საჭიროა სრული შემადგენლობის ერთი მესამედის თანხმობა. რეგლამენტის მიხედვით, კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.[14] გარდა ამისა, დროებით საგამოძიებო კომისიას სისხლის სამართლის საქმის ადგილზე გასაცნობად, გენერალური პროკურორის ნებართვა აღარ სჭირდება.

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, საპარლამენტო საქმიანობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მმართველი პარტია ფლობს პროცედურულ ბერკეტებს, ხელი შეუშალოს საპარლამენტო ოპოზიციას შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისიები,[15] რითაც ფორმალობად აქცევს საპარლამენტო ზედამხედველობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და აზრს უკარგავს ახალი რეგლამენტით დადგენილ მიზანს, მისცეს ოპოზიციას საზედამხედველო უფლებამოსილების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა.

---

[12] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 93, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

[13] საქართველოს პარლამენტის 2018 წლის დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, მუხლი 55. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44

[14] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 62, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

[15] parliament.ge (ვებგვერდი), დადგენილების კენჭისყრის პროექტისთვის კვორუმი არ შედგა, 18.04.2023, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/sasamartlo-sistemashi-koruftsiuli-da-skhva-kanonsatsinaaghmdego-kmedebata-shemstsavleli-droebiti-sagamodziebo-komisiis-shekmnis-shesakheb-dadgenilebis-proektis-kenchisqristvis

ინტერპელაცია

რეგლამენტის ახალმა რედაქციამ ინტერპელაციის სახით საპარლამენტო კონტროლის ახალი მექანიზმი დანერგა. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, „პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს.“[16] ადრესატი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირადად პასუხობს კითხვებს.

ეფექტიანი კონტროლისთვის მნიშვნელოვანია ინტერპელაციის, როგორც ზედამხედველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმის, ხშირად გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, გასული წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მორიგი სესიის განმავლობაში, ინტერპელაციის რაოდენობის შეზღუდვის გამო (არაუმეტეს ორჯერ და შესაბამისად, საგაზაფხულო სესიაზე მარტი და მაისი, საშემოდგომო სესიაზე სექტემბერი და ნოემბერი), შესაძლოა, კონკრეტულ საკითხს (პროცედურის გახანგრძლივების გამო) აქტუალობა დაეკარგა და ამ მექანიზმის გამოყენება ნაკლებად ეფექტიანი ყოფილიყო.

შესაბამისად, პარლამენტის რეგლამენტში 2022 წელს განხორციელებული ცვლილებები ინტერპელაციის წესსაც შეეხო. გაიზარდა ინტერპელაციის რაოდენობა. ინტერპელაციის დასრულების შემდეგ, განისაზღვრა დადგენილების პროექტის პარლამენტისთვის წარდგენის, განხილვისა და მიღების ვალდებულება, რეგლამენტით დადგენილი წესით. ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში, ასევე გაიზარდა ინტერპელაციის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა და სიხშირე.

თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარება

პარლამენტის რეგლამენტის ძველი რედაქციის მიხედვით, პარლამენტი უფლებამოსილი იყო, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლეს-

[16] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 149, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

ობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედის გადაწყვეტილებით, პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრი მოეწვია.[17]

პარლამენტის რეგლამენტის ახალი რედაქციით, გაფართოვდა პლენარულ სხდომაზე დასაბარებელ თანამდებობის პირთა წრე და დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება მთავრობის წევრების გარდა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ყველა თანამდებობის პირსა და ორგანოს ხელმძღვანელზე გავრცელდა.[18] თუმცა, პარალელურად, გართულდა პროცედურა და ანგარიშვალდებულ პირთა დაბარება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედის ნაცვლად, მხოლოდ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გახდა შესაძლებელი.

თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება

2018 წლამდე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა ანგარიშვალდებული პირის კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო დასწრებას.[19] პარლამენტის რეგლამენტის ახალი რედაქციის მიხედვით, კომიტეტზე პირის დაბარების უფლებამოსილება განესაზღვრა ფრაქციასაც. უფრო მაღალი კვორუმი დაწესდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დაბარების შემთხვევაში.[20]

2022 წლის ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე კომიტეტის სხდომაზე დასწრების მოთხოვნის შესახებ ინფორმაციისა და კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შესაბამისი

[17] საქართველოს პარლამენტის 2018 წლის დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია მუხლი 197, პუნქტი 1. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44

[18] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 152, პუნქტი 1. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

[19] საქართველოს პარლამენტის 2018 წლის დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, მუხლი 44. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44

[20] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 40, პუნქტი 1, 3. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

თანამდებობის პირისთვის გაგზავნილი წერილის და სხდომის შესაბამისი აუდიოჩანაწერის განთავსების ვალდებულება.

თანამდებობის პირების ფრაქციის სხდომაზე დაბარება

პარლამენტის რეგლამენტის ძველი რედაქციის მიხედვით, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილი იყო, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ჰქონდა ფრაქციის სხდომებზე დასწრების ვალდებულება. ასევე, ვალდებული იყო პასუხი გაეცა სხდომაზე დასმული შეკითხვებისთვის და წარედგინა გაწეული საქმიანობის ანგარიში. 2018 წლის ახალმა რეგლამენტმა ფრაქციას ეს შესაძლებლობა შეუზღუდა.

ერთი შეხედვით, ფრაქციაზე ანგარიშვალდებული პირის დაბარების საჭიროება აღარ არსებობს, რადგან, მოქმედი რედაქციით, საპარლამენტო ფრაქციას/ჯგუფს სხვადასხვა ფორმატში შეუძლია აკონტროლოს უწყება და მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. თუმცა, პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ საპარლამენტო ჯგუფები/ფრაქციები საზედამხედველო მანდატს სრულფასოვნად ვერ იყენებენ.[21]

პარლამენტის წევრის კითხვა

2018 წლის დეკემბრამდე მოქმედი პარლამენტის რეგლამენტის რედაქცია ითვალისწინებდა პარლამენტის წევრის კითხვის მექანიზმს.[22] ახალმა რეგლამენტმა წერილობითი კითხვის მექანიზმი კიდევ უფრო განჭვრეტადი გახადა.[23] კერძოდ, განისაზღვრა კითხვებისა და მიღებული პასუხების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება. ამასთან,

[21] democracyresearch.org (ვებგვერდი), „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები“, 2023, გვ. 32, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/files/2871.09.2023%20geo%20(1).pdf

[22] საქართველოს პარლამენტის 2018 წლის დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია მუხლი 211, პუნქტი 1. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44

[23] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 148. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

დაკონკრეტდა, რომ კითხვის შინაარსი უნდა შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებულ საკითხს. ეს მექანიზმი წარმოადგენს დეპუტატის ინდივიდუალურ მექანიზმს, ზედამხედველობა გაუწიოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია ყველა ანგარიშვალდებული ორგანოსგან.

ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებებით, პარლამენტის წევრისთვის კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა 15-დან 10 დღემდე[24] შემცირდა, რაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა. რეგლამენტში დარჩა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა, კითხვის ავტორთან შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს 10 დღით. კითხვაზე პასუხს ხელი უნდა მოაწეროს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელმა ან საქართველოს მთავრობის შესაბამისმა წევრმა.

2023 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესული ცვლილებები

2023 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში კვლავ შევიდა ცვლილებები. რეგლამენტის ახალი ჩანაწერის მიხედვით, ბიუროს სხდომა შეიძლება დაიხუროს, თუ ამას მოითხოვს ბიუროს წევრი და მის მოთხოვნას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე ბიუროს წევრთა უმრავლესობა. პარლამენტის ბიუროს სხდომის დახურვის საკითხი განიხილება დახურული წესით. პარლამენტის ბიუროს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს ადგენს სხდომის თავმჯდომარე.[25] აღნიშნული დანაწესით, გადაწყვეტილების მიღების წესიდან გამომდინარე, ბიუროს სხდომა შესაძლოა დაიხუროს ოპოზიციონერი დეპუტატების მხარდაჭერის გარეშე.

შესაბამისად, ცვლილებამ საკანონმდებლო ორგანოს გამჭვირვალობის ხარისხი კიდევ უფრო შეამცირა. ბიუროს კომპეტენციებს შორის არის პლენარული სხდომების დღის წესრიგის განსაზღვრა. სხდომათა საჯაროობა კი ხელს უწყობდა დაინტერესებული აქტორების ჩართულ-

[24] იქვე, მუხლი 148 , პუნქტი 4 .

[25] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5962558?publication=0

ობის უზრუნველყოფას, მათ შორის, კონკრეტული კანონპროექტების განხილვის პროცესზე დაკვირვებას. საყურადღებოა, რომ მიუხედავად ბიუროს დღის წესრიგის პარლამენტის ვებგვერდზე წინასწარ გამოქვეყნების ვალდებულებისა, ხშირ შემთხვევაში, ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

რეგლამენტში განხორციელებული კიდევ ერთი ცვლილების მიხედვით, პარლამენტის მიერ თანამდებობის პირების არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრის ნაცვლად, ღია წესით მიღებას ეხება. ეს წესი თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით გადაყენების დროსაც გამოიყენება. საგულისხმოა, რომ კენჭისყრისას ფარულობის წესი მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის შემთხვევაში შენარჩუნდება.[26]

პარლამენტის რეგლამენტში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას, საქართველოს პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, ხსნის სხდომაზე დამსწრე უხუცესი არჩეული პარლამენტის წევრი. სხდომას ესწრება ცესკოს თავმჯდომარე.[27]

2.2. საკანონმდებლო თვალსაზრისით არსებული გამოწვევები

ნდობის ჯგუფი

მიუხედავად პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული დადებითი ცვლილებებისა, ნდობის ჯგუფის შემადგენლობასთან, მის დაკომპლექტებასთან და საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით არაერთი პრობლემა არსებობს.

მაგალითად, ნდობის ჯგუფის წევრს არ აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, თავმჯდომარის თანხმობის გარეშე განახორციელოს ვიზიტი ანგარიშვალდებულ უწყებაში. ამასთან, რეგლამენტი არ შეიცავს დეტალებს, რა მოცულობის ინფორმაციაზე დაშვებას ითვალისწინებს „შემოწმების უფლება“ და რა სახეს ატარებს ის.

[26] იქვე.
[27] იქვე.

ხაზგასასმელია, რომ მოქმედი კანონმდებლობა ნდობის ჯგუფს არ ავალდებულებს მოამზადოს და პარლამენტს წარუდგინოს მის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში, სადაც სათანადო წესით იქნება დაფარული/დაშტრიხული სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნდობის ჯგუფის დაკომპლექტებასთან დაკავშირებულმა პარლამენტის რეგლამენტის დღეს მოქმედმა ჩანაწერმა ჩიხში შეიყვანა საქართველოს პარლამენტი. იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო ოპოზიციაში მხოლოდ ერთი ფრაქციაა, ნდობის ჯგუფს მეხუთე წევრი ამ დრომდე არ ჰყავს.

ამასთან, საპარლამენტო ოპოზიციის წევრებს არ აქვთ შესაძლებლობა, ნდობის ჯგუფის კომპეტენციას მიკუთვნებული მნიშვნელოვანი საკითხები დღის წესრიგში შეიტანონ, რაც საპარლამენტო ზედამხედველობას ასუსტებს და ნაკლებად ეფექტიანს ხდის. მიუხედავად იმისა, რომ ნდობის ჯგუფის წევრებს სახელმწიფო საიდუმლოებაზე წვდომა აქვთ, შეზღუდულია მათი მანდატი, მიიღონ სრულფასოვანი ინფორმაცია შესაბამისი უწყებებიდან.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კანონის პროექტი, რომელიც უკვე რეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტში, მიზნად ისახავს ზემოთ აღნიშნული გამოწვევების აღმოფხვრას და შესაბამისად, საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესებას.[28]

მინისტრის საათი

მინისტრის საათის დროს, მთავრობის წევრის მოხსენებას პარლამენტი განიხილავს რეგლამენტით კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.[29] აღნიშნული წესის მი-

[28] democracyresearch.org (ვებგვერდი), „საპარლამენტო ზედამხედველობა უსაფრთხოების ინსტიტუტებზე ხარვეზიანია“ ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/1238/

[29] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 153, პუნქტი 4, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

ხედვით, მინისტრის მოხსენების შემდეგ, პარლამენტის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა მთავრობის წევრს შეკითხვებით მიმართონ. შეკითხვების დასრულების შემდეგ, მინისტრს უფლება აქვს ყველა დასმულ შეკითხვას ერთობლივად უპასუხოს,[30] რაც პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, ყურადღების მიღმა დატოვოს არაკომფორტული შეკითხვები. შესაბამისად, ბევრი აქტუალური საკითხი ყურადღების მიღმა რჩება. აღნიშნული პროცედურის ეფექტიანობისთვის, რეკომენდებულია, პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიები

დროებითი საგამოძიებო კომისიების თვალსაზრისით, მთავარი გამოწვევა პოლიტიკური ნების არარსებობაა. სამწუხაროდ, რეგლამენტი არ შეიცავს დაზღვევის მექანიზმებს, როდესაც, განსახილველი საკითხის ჩაგდების მიზნით, დეპუტატები კენჭისყრის წინ რეგისტრაციას განზრახ არ გადიან.

მე-10 მოწვევის პარლამენტში, დროებითი საგამოძიებო კომისია მხოლოდ ერთხელ, მმართველი პოლიტიკური ძალის ინიციატივით, საარჩევნო საკითხებზე შეიქმნა. საპარლამენტო ოპოზიციას 7-ჯერ ჰქონდა მცდელობა, შეექმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, თუმცა, ვერცერთ შემთხვევაში ვერ შეძლო. აღნიშნულის ყველაზე ხშირი მიზეზი ის იყო, რომ ინიციატორებმა ვერ მოახერხეს სათანადო რაოდენობის მხარდამჭერების მობილიზება; თუმცა ორ შემთხვევაში, როდესაც საკითხის მიმართ ოპოზიციის თითქმის ერთსულოვანი მხარდაჭერა არსებობდა, საპარლამენტო უმრავლესობამ პროცედურული მანიპულაციის გზით ხელი შეუშალა დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნას.[31]

---

[30] იქვე, მუხლი 111, პუნქტი 6 და მუხლი 111, პუნქტი 7

[31] democracyresearch.org (ვებგვერდი), „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები“, 2023, გვ. 32, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/files/2871.09.2023%20geo%20(1).pdf

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ საგამოძიებო კომისიების შექმნის პროცედურული მანიპულაციის გზით ჩაგდების მაგალითები

საქართველოს სასამართლო სისტემაში კორუფციულ და სხვა კანონ-საწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ „რეფორმების ჯგუფმა“ დადგენილების პროექტი 2023 წლის ივნისში დაარეგისტრირა. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო ოპოზიციამ შეძლო ინიციატივის მხარდამჭერი დეპუტატების სათანადო რაოდენობის მობილიზება, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტის კენჭისყრა არ შედგა. საკითხის ჩასაგდებად, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია ზედიზედ სამი დღის განმავლობაში არ გაიარეს.[32] „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, უმრავლესობა არ გაივლიდა რეგისტრაციას, „რაც მოსამართლეების მიმართ პოლიტიკური სოლიდარობის აქტს წარმოადგენს.“[33]

„ქართული ოცნება“ ანალოგიურად მოიქცა საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „საქართველოსთვის“ მიერ ინიციირებული დადგენილების „ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ თაღლითური „ქოლცენტრების“ მეშვეობით ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაულებისა და მათზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ პროექტის ჩასაგდებად, არ გაიარა რა კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია.[34]

---

[32] პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, კენჭისყრის წინ ტარდება პარლამენტის წევრთა რეგისტრაცია (მუხლი 91, პუნქტი 1), პარლამენტის პლენარული სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (მუხლი 91, პუნქტი 1).

[33] საქართველოს პარლამენტი, „სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტის კენჭისყრისთვის კვორუმი არ შედგა.“ ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bfhsz

[34] საქართველოს პარლამენტი, „პარლამენტში ე.წ. ქოლცენტრების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს კენჭი ვერ ეყარა.“ ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/imANR

ინტერპელაცია

ინტერპელაციის დროს, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლის მიზნით, რეგლამენტი ითვალისწინებს შეკითხვის ავტორისთვის, ადრესატისთვის და დებატებში მონაწილე პირების/ჯგუფებისთვის განსაზღვრული დროის პროპორციულად შემცირების შესაძლებლობას. მართალია, საკითხის ამოწურვის მიზნით, რეგლამენტი ითვალისწინებს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომების 21 საათზე მეტი დროით გაგრძელების შესაძლებლობას, თუმცა, ეს არ გამორიცხავს პარლამენტის ბიუროს მხრიდან ინტერპელაციის დროის იმგვარად შემცირების შესაძლებლობას, რომ პროცედურა სრულფასოვნად ვერ განხორციელდეს.[35]

იმისთვის, რომ კითხვის ავტორებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადონ ინტერპელაციის ფარგლებში გამართული დებატებისთვის, უმჯობესი იქნებოდა, კითხვის ადრესატს ინტერპელაციის წესით გაგზავნილ შეკითხვაზე პასუხის სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე გაგზავნის ვალდებულება ჰქონდეს. წერილობითი პასუხის წინასწარ წარდგენა ხელს შეუწყობდა ინტერპელაციის პროცედურის უფრო ორგანიზებულად და შინაარსობრივად წარმართვას. ამასთან, უმჯობესი იქნებოდა, ცვლილებები შესულიყო კითხვა-პასუხის წესში, ვინაიდან, მინისტრის საათის მსგავსად, დეპუტატების მიერ დასმული არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა, ერთიანი პასუხის დროს ყურადღების მიღმა რჩება.

თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, პრობლემურია რეგლამენტის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების - საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს გენერალური პროკურორის და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიმართ მე-2 პუნქტისგან განსხვავებულ სტანდარტს - უფრო მაღალ კვორუმს ადგენს. უფრო მეტიც, აღნიშნული დანაწესის მიხედვით, საპარლამენტო ფრაქციას/პოლიტიკურ ჯგუფს არ აქვს ზემოთაღნიშნული თანამდებობის პირების კომიტეტის სხდომაზე დაბარების უფლება.

[35] democracyresearch.org (ვებგვერდი), „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმები და მათი მნიშვნელობა“, 2020, გვ. 16, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/geo/404/

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან 2022 წელს ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესასრულებლად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა არ გაიზიარა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, კომიტეტზე დაბარების ზოგადი წესი უნდა გავრცელდეს პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დაბარების შემთხვევაშიც.

3. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი და პრაქტიკული გამოწვევები

3.1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე 2023 წელს განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი

პარლამენტის წევრის კითხვა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაგზავნილი კითხვების რაოდენობა მცირეა. 2023 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მონაცემების თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს პარლამენტის წევრებმა სულ 14 კითხვა გაუგზავნეს. წერილობითი კითხვის მექანიზმი მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოიყენეს. **საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის არცერთი კითხვით არ მიუმართავთ.**





სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაგზავნილი კითხვები შეეხებოდა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის დაზიანების და სიცოცხლისათვის შექმნილ შესაძლო საფრთხეს, „ლიცენზირებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებს, ე.წ. ბაკურიანის შეხვედრის შესახებ გამოძიებას, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საქართველოში შემოშვება/არ შემოშვების საკითხს, რუსეთის ხელისუფლებასთან საქართველოს ხელისუფლების შესაძლო ფარული მოლაპარაკების შესახებ ინფორმაციას, ოკუპირებულ ტერიტორიის მოსაზღვრე სოფლებში არსებულ მდგომარეობას. ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბალანსზე არსებულ ავტომობილებზე გამოწერილი ვიდეო ჯარიმების და დაკისრებული საჯარიმო თანხის საერთო ოდენობასა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების დეტალურ სტატისტიკას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ყველა შეკითხვას უპასუხა. თუმცა, რიგ შემთხვევებში, უწყების მიერ გაცემული პასუხი არ შეიცავდა იმ ინფორმაციას, რაც კითხვის ავტორის ინტერესს წარმოადგენდა.

მაგალითად დეპუტატი ხათუნა სამნიძის[36] კითხვაზე, რომელიც ე.წ. ბაკურიანის შეხვედრას უკავშირდებოდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ზოგადი პასუხით შემოიფარგლა: „სისხლის სამართლის საქმის შინაარსი წარმოადგენს საგამოძიებო საიდუმლოებას და მისი გაცნობის უფლებამოსილება გააჩნიათ კანონით განსაზღვრულ პირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაგაცნოთ სისხლის სამართლის საქმის შინაარსი.“[37]

დეპუტატ თამარ კორძაიას[38] კითხვაზე, რომელიც მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას შეეხებოდა („გამოძიების ფარგლებში

[36] საქართველოს პარლამენტის წევრის ხათუნა სამნიძის კითხვა N2551/3-87/23. 04.04.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/26897

[37] სუს-ის პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრის ხათუნა სამნიძის კითხვაზე NSSG 2 23 00089832 18.04.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27101

[38] საქართველოს პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვა N4836/3-53/23. 22.06.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27901

რამდენი ადამიანი არის გამოკითხული? რა სახის საგამოძიებო მოქმედებებს მიმართეთ? რა ეტაპზეა გამოძიება?“), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დეპუტატს უპასუხა, რომ „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე“, გამოძიების დეტალებზე დამატებით ინფორმაციას ვერ გასცემდა.[39]

დეპუტატ თეონა აქუბარდიას კითხვაზე - „რატომ ხდება, რომ პუტინის რეჟიმის მოწინააღმდეგე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს საქართველოში არ უშვებთ და დასავლეთის მიერ სანქცირებული რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური პირები და მათი ოჯახის წევრები არათუ თავისუფლად შემოდიან საქართველოში (სერგეი ლავროვის ქალიშვილი), არამედ მათი უსაფრთხოების დაცვას ახდენენ ჭარბი საპოლიციო ძალების გამოყენებით?“. ასევე, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში მომავალი ვიზიტორების გაზრდილი ნაკადებიდან გამომდინარე, რა მექანიზმებს ფლობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უსაფრთხოების მიზნით პირების შესამოწმებლად?“[40] უწყება ზოგადი პასუხით შემოიფარგლა,[41] რომ საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, „ჩართულია მიგრაციული ნაკადის მონიტორინგის პროცესში და ატარებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს“.

დეპუტატ ლევან ბეჟაშვილის[42] კითხვას, რომელიც „ლიცენზიებისა და ნებართვების“ კანონში შესატან ცვლილებებს და უწყებაზე ამ ცვლილებების ზეგავლენას შეეხებოდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დეტალურად უპასუხა, მიუთითა რა იმ სამართლებრივ საფუძ-

---

[39] სუს-ის პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვაზე N SSG 8 23 00127178 05.06.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27656

[40] საქართველოს პარლამენტის წევრის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N4280/3-2/23, 05-06-2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27646

[41] სუს-ის პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვაზე. N SSG 7 23 00135501 13.06.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27850

[42] საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის კითხვა N5082/3-6/23. 30.06.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27942

ვლებზე, რასაც ეყრდნობოდა მისი მოქმედების პრაქტიკა.[43] ლევან ბეჟაშვილის მეორე შეკითხვას,[44] რომლითაც დეპუტატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების დეტალურ სტატისტიკას ითხოვდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მხოლოდ პროკურორის მხრიდან დადგენილების გამოცემის წესის განმარტებით უპასუხა.[45]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაგზავნილი კითხვების სიმცირიდან და შესაბამისად, კითხვების შეზღუდული თემატიკიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა წინა წლების მსგავსი პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თვითნებურად განმარტავდა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონს და მისი ფართო ინტერპრეტაციის მეშვეობით დეპუტატების მიერ გაგზავნილ მთელ რიგ შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებდა.

ნდობის ჯგუფი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ნდობის ჯგუფმა 11 სხდომა გამართა. პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა და მისმა მოადგილემ ნდობის ჯგუფის სხდომაში ორჯერ მიიღეს მონაწილეობა - 2023 წლის 6 აპრილს და 13 ოქტომბერს.[46]

ნდობის ჯგუფის საქმიანობის საიდუმლოების მაღალი ხასიათიდან გამომდინარე, უცნობია, კონკრეტულად რა საკითხები განიხილეს შეხვედრებზე. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარ-

[43] სუს-ის პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის კითხვაზე. NSSG 0 23 00158374. 12.07. 2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27991

[44] საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის კითხვა, N9225/3-6/23 , 30.11.2023, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/29899

[45] სუს-ის პასუხი საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის კითხვაზე. SSG 9 23 00276246, 11.12.2023, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/30548

[46] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი 20-12-2023, N 10704/2-7-1/23

ლამენტიდან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: ნდობის ჯგუფის სხდომათა გამართვის თარიღები, დღის წესრიგი და დამსწრე პირთა სია; ანგარიშვალდებული პირების მხრიდან ნდობის ჯგუფისთვის წარდგენილი მოხსენებების გამართვის თარიღები და დამსწრე პირთა სია; შესაბამისი უწყებების მიერ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისთვის წარდგენილი ინფორმაცია განხორციელებული და მიმდინარე არასაიდუმლო შესყიდვების შესახებ; რამდენჯერ დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის სხდომებს უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების წარმომადგენლები; ნდობის ჯგუფის წევრთა ვიზიტების რაოდენობა ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსა და სხვა ანგარიშვალდებულ უწყებებში.[47] საქართველოს პარლამენტმა მოგვაწოდა ინფორმაცია მხოლოდ ნდობის ჯგუფის სხდომათა რაოდენობის, გამართვის თარიღებისა და დამსწრე პირების შესახებ.[48]

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლები არეგულირებს ნდობის ჯგუფის შემადგენლობასთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა, 2018 წლიდან ამოქმედებულმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტმა გააძლიერა ნდობის ჯგუფის მანდატი, დაკვირვება აჩვენებს, რომ საპარლამენტო ზედამხედველობა უსაფრთხოების ინსტიტუტებზე დახვეწას საჭიროებს. ანგარიშში ასახული საკანონმდებლო ხარვეზები, ხელს უშლის მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებას. ამასთან, ორგანიზაციასთან შეხვედრის დროს, ოპოზიციონერი დეპუტატები ხაზს უსვამენ, რომ არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა ნდობის ჯგუფის საქმიანობაში და განსაზღვრონ დღის წესრიგი. კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ნდობის ჯგუფის არასრული შემადგენლობით დაკომპლექტების საკითხი. ამ დრომდე, ნდობის ჯგუფი 4 წევრისგან შედგება, საიდანაც სამი - საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია.

[47] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წერილი, №20233011/69

[48] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი, N 10704/2-7-1/23

დროებითი კომისიები, როგორც საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია მე-10 მოწვევის პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხთან დაკავშირებით. თემატურად, საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივები, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას შეეხებოდა, რამდენიმეა:

ა) 2021 წელს ფრაქციამ „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ ელიტური კორუფციის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტი წარადგინა. „ელიტური კორუფციის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევ საკითხთა წრედ განისაზღვრა საქართველოში არსებული და გამოუძიებელი ელიტური კორუფციის ფაქტები, ამ ფაქტებთან დაკავშირებული სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების შესაძლო არამართლზომიერი ქმედებები და სამართალდამცავი ორგანოების სავარაუდო უმოქმედობის მიზეზები.[49] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ხელთ არსებული ინფორმაციით, დადგენილების პროექტი პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე არ დამდგარა, რის ძირითად მიზეზადაც კვორუმის არარსებობა სახელდება.

ბ) 2016-2017 წლებში და შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებთან ფარული და სისტემური თანამშრომლობის ფაქტების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა 2022 წლის 22 სექტემბერს წარადგინეს.[50] ამ შემთხვევაშიც, საკითხი კენჭისყრამდე

[49] საქართველოს პარლამენტი, დადგენილების პროექტი, „ელიტური კორუფციის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ,“ ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/276408

[50] parliament.ge (ვებგვერდი), 22.09.2022. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/24726

არ მისულა. სავარაუდოდ, საკითხის ინიციატორებმა სათანადო რაოდენობის მხარდამჭერების მობილიზება ვერ შეძლეს.

შესაბამისად, მე-10 მოწვევის პარლამენტში, მიუხედავად რამდენიმე ინიციატივის არსებობისა, ვერ მოხერხდა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე საჭირო მხარდაჭერის მოპოვება. ამის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი, უმრავლესობის მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობა იყო.

კონტროლის სხვა მექანიზმები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ, გარდა ზემოთ აღნიშნული მექანიზმებისა, საპარლამენტო ზედამხედველობის სხვა მექანიზმები არ გამოყენებულა. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში, სუს-ის უფროსი არ დაუბარებიათ არც პლენარულ სხდომაზე და არც ინტერპელაციის წესით. საგულისხმოა, რომ ამ მექანიზმების გამოუყენებლობა სიახლეს არ წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერ დეპუტატს თეონა აქუბარდიას, 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, არაერთი მცდელობა ჰქონდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე დაებარებინა სუს-ის უფროსი. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატი ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეცაა, დღის წესრიგში საკითხის შეტანისა და ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობა არ მისცეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამჭვირვალობის ხარისხი

ეფექტიანი კონტროლის განხორციელებისთვის, აუცილებელია მაკონტროლებელ ორგანოს ანგარიშვალდებული უწყების საქმიანობის განმსაზღვრელ დოკუმენტებზე წვდომა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებს, საიდუმლო ინფორმაციის მიღების მიზნით, შეუძლიათ საიდუმლო ინფორმაციაზე ინდივიდუალ-

ური დაშვება მოითხოვონ,[51] ისინი რეალურად არაერთ დაბრკოლებას აწყდებიან. ამის მაგალითია, საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვებისთვის დეპუტატის შემოწმებისთვის არაპროპორციულად ხანგრძლივი ვადა.[52] 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, სახელმწიფო ინფორმაციაზე დაშვების მაქსიმალური ვადა 1 თვიდან 6 თვემდე გაიზარდა.[53]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების მე-6 მუხლის თანახმად, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: ადმინისტრაცია (დეპარტამენტი), გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი), ეკონომიკური დეპარტამენტი, კადრების მთავარი სამმართველო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი, ანტიკორუფციული სააგენტო (დეპარტამენტი), კონტრტერორისტული ცენტრი, ოპერატიული ღონისძიებების დეპარტამენტი, სპეციალური ღონისძიებების დეპარტამენტი, ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველო, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველო. ჩამოთვლილთაგან, საჯაროა მხოლოდ ადმინისტრაციის, ანტიკორუფციული სააგენტოს, გენერალური ინსპექციის, ეკონომიკური დეპარტამენტის, კადრების მთავარი სამმართველოსა და ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს დებულებები. რაც შეეხება **კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, კონტრტერორისტული ცენტრს, სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტს, საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს, ოპერატიული ღონისძიებების დეპარტამენტსა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტებს, მათი საქმიანობა, მარეგულირებელი დებულებების ჩათვლით გასაიდუმლოებულია.**[54]

შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის შემთხვევაში, რთულია შევაფასოთ, რამდენად კანონიერადაა გასაიდუმლოებული უსაფრთხო-

[51] სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2750311?publication=6
[52] იქვე. მუხლი 22.
[53] transparency.ge (ვებგვერდი), 02.03.2015. ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/blog/sakhelmtsipo-saidumloebis-shesakheb-akhali-kanoni-inpormatsiis-dausabutebeli-shezghudvis-saprtkhe
[54] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის SSG 02000020612 წერილი.

ების სამსახურის ცალკეული დეპარტამენტების დებულებები. თუმცა, სხვა საჯარო დებულებების ანალიზისა (სადაც ზოგადი ინფორმაციაა თავმოყრილი) და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფართო მანდატიდან გამომდინარე, დებულებების გასაიდუმლოებით, საფრთხე ექმნება კონტროლის ეფექტიანობას. უწყების გამჭვირვალეობის დაბალი ხარისხიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ბლანკეტურად გასაიდუმლოება შეუძლებელს ხდის აღნიშნული უწყებაზე საპარლამენტო ზედამხედველობას და უკიდურესად ამცირებს მისი მხრიდან ანგარიშვალდებულების ხარისხს.

3.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაზე 2023 წელს განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი

პარლამენტის წევრის კითხვა

უსაფრთხოების სექტორში შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთადერთი უწყებაა, რომელსაც სადეპუტატო კითხვები საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა (დეპუტატებმა ზაზა ლომინაძემ და ნინო წილოსანმა) გაუგზავნეს. ზაზა ლომინაძის კითხვა დახურულ სივრცეში თამბაქოს გამოყენებაზე საპოლიციო რეაგირების ფაქტებს შეეხებოდა,[55] ნინო წილოსანი[56] კი პიროტექნიკის გამოყენებით დაზიანების და პიროტექნიკის გაყიდვის შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკით დაინტერესდა. საანგარიშო პერიოდში, პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, პარლამენტის წევრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში 61 წერილობითი კითხვა გაგზავნეს, რომელთაგან 10 უპასუხოდ დარჩა.

---

[55] საქართველოს პარლამენტის წევრის ზაზა ლომინაძის კითხვა N6575/4-13/23 06.09.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/28551 აღსანიშნავია, რომ ზაზა ლომინაძემ ანალოგიური კითხვა რამდენიმე თვით ადრეც გაგზავნა (კითხვა N4558/4-13/23 ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27835, თუმცა მაშინ მისი კითხვა უპასუხოდ დარჩა.

[56] საქართველოს პარლამენტის წევრის ნინო წილოსანის კითხვა N418/4-1/23. 18.01.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/25689





უპასუხოდ დარჩენილი კითხვების ძირითადი ნაწილი უკავშირდებოდა სახანძრო-სამაშველო დანიშნულების საავიაციო პარკის არსებობის და სამაშველო ავიაციასთან დაკავშირებით უწყების ხედვას.[57] შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილ კითხვებს შორის ასევე ხშირად ფიგურირებდა მოთხოვნა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შესახებ. თუმცა, ყველაზე ხშირად კითხვები შეეხებოდა რუსეთიდან შემოსულ ვიზიტორებს, მათ შორის, სერგეი ლავროვის ოჯახის წევრებს,[58] ასევე, ადამიანებს, რომლებიც საქართველოს საზღვრიდან უკან გააბრუნეს.[59] ლავროვის ოჯახის წევრების შემთხვევაში, პასუხის გაცემის უარის თქმის საფუძვლად, პერსონალური მონაცემების დაცვა დასახელდა,[60] ხოლო საზღვარზე პირების არ შემოშვების საკითხთან დაკავშირებით, უწყება მხოლოდ ზოგადი და აბსტრაქტული სამართლებრივი განმარტებით შემოიფარგლა.[61] მიუხედავად იმისა, რომ

[57] საქართველოს პარლამენტის წევრის ანა ნაცვლიშვილის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით სამჯერ გაიგზავნა კითხვა შინაგან საქმეთა სამინისტროში. მაგ. კითხვა N6539/3-81/23 06.09.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/28529

[58] საქართველოს პარლამენტის წევრის ხატია დეკანოიძის კითხვა N3794/3-23/23. 24.05.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27395

[59] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N4281/3-2/23. 05.06.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27647

[60] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი NMIA92301627797, 08.06.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27764

[61] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი N1129, 30.06.2023. ხელ-მისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27943

პარლამენტის წევრების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია უწყებისგან, ძირითადად, პასუხის გასაცემად განსაკუთრებულ ძალისხმევას არ მოითხოვდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ძირითადად ცდილობდა მხოლოდ ფორმალური პასუხით შემოფარგლულიყო და რეალური ინფორმაცია არ გაეცა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფართო კომპეტენციიდან გამომდინარე, ამ უწყების მიმართ გაგზავნილი კითხვები მრავალფეროვანია და შესაბამისად, მისი საქმიანობის მიმართ ინტერესი დეპუტატთა შედარებით დიდ წრეს აქვს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული, ზოგიერთ შემთხვევაში, ფორმალური პასუხები ცხადყოფს, რომ უწყების პასუხისმგებელი პირები არ გრძნობენ ანგარიშვალდებულებას საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ინტერპელაცია

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ახალმა რეგლამენტმა საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტიანობის გასაზრდელად დამატებითი შესაძლებლობა შექმნა, შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტში ინტერპელაციის წესით 2019-დან 2022 წლის ჩათვლით, არც ერთხელ არ დაუბარებიათ. თუმცა, 2023 წელს, საპარლამენტო ოპოზიციის ინიციატივით, ვახტანგ გომელაური ინტერპელაციის წესით პარლამენტში ორჯერ იმყოფებოდა.[62]

ინტერპელაციის წესით გაგზავნილი პირველი კითხვა[63] ეხებოდა 7-8 მარტის აქციებზე გამოყენებული საპოლიციო ძალის პროპორციულობის და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საკითხს. ინტერპელაციის წესით კითხვა გაგზავნეს ოპოზიციური ფრაქციების და პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა და უფრაქციო პარლამენტის წევრებმა: ხატია დეკანოიძემ, რომან გოცირიძემ, თეონა აქუბარდიამ, ანა ნაცვლიშვილმა, როსტომ ჩხეიძემ, ნატო ჩხეიძემ, ხათუნა სამნიძემ და

[62] parliament.ge (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/supervision/ interpellation

[63] parliament.ge (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/19.05.2023/gomelauri/kitkhva-10.04.2023.pdf

თამარ კორძაიამ. შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტში 19 მაისს გამოცხადდა. მინისტრმა 7-8 მარტის აქციებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებების შესახებ ისაუბრა და საქართველოს რეგლამენტით დადგენილი წესით უპასუხა პარლამენტის წევრების კითხვებს. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მხრიდან ინტერპელაციის წესით მოსმენის დროს მნიშვნელოვანი და ახალი ფაქტები არ გაჟღერებულა, ასევე, ის არ დაეთანხმა ოპოზიციის კრიტიკას გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ 7-8 მარტის აქციებზე საპოლიციო რეაგირების განხილვა ინტერპელაციის ფორმატში გაიმართა.

ინტერპელაციის წესით გაგზავნილი მეორე შეკითხვა შოვის ტრაგედიას ეხებოდა. პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია, როგორც ინტერპელაციის წესით გაგზავნილი შეკითხვა, ასევე, ანგარიშვალდებული პირის წერილობითი პასუხი. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ - გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ძალა ერთობაშია“ შინაგან საქმეთა მინისტრს 5 კითხვით მიმართა: „1. რა იყო ის შემაფერხებელი ფაქტორები, რის გამოც არ დაინერგა ადრეული გაფრთხილების SMS სისტემა; 2. რატომ დაიწყო სამაშველო ოპერაციები 3 საათიანი დაგვიანებით; 3. რა საფუძველზე დაყრდნობით მიიღო მთავრობამ გადაწყვეტილება, სამძებრო-სამაშველო ოპერაციებში არ ეთხოვათ უცხოეთიდან დახმარება; 4. რა მდგომარეობაშია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამაშველო აღჭურვილობა და რამდენად თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან; 5. რა გარემოებებზე დაყრდნობით თქვა უარი სახელმწიფომ ორი სამძებრო-სამაშველო ვერტმფრენის (“HUEY II”-ის) გრანტის წესით შესყიდვაზე. იყო თუ არა შსს ჩართული აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა იყო სამინისტროს ოფიციალური პოზიცია.“[64] მინისტრის პასუხის მიხედვით, სამაშველო სამუშაოები მყისიერად დაიწყო, მაშველები ადგილზე 28 წუთში იყვნენ, მძიმე ტექნიკა - ერთ საათში, ხოლო ვერტმფრენები სტიქიის ზონაში სამ საათში ჩაფრინდნენ. მინისტრმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სამსახურების ქმედება ყველაზე ოპტიმალური იყო რაჭაში არსებული არასახარბიელო მეტეოროლოგიური პირობებისა და რელიეფის გამო. ვახტანგ გომელაურის განცხადებით,

[64] parliament.ge (ვებგვერდი), ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/interpelacia/22.09.2023/gomelauri/enm_14_08_2023.pdf

შეუძლებელი იყო მეწყერში მოყოლილი ადამიანების გადარჩენა, რაც არ უნდა სწრაფად და ორგანიზებულად ემოქმედათ და რომ დამატებითი დახმარების საჭიროება არ არსებობდა, რის გამოც მეზობელ ქვეყნებს დასახმარებლად არ მიმართეს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე გაცემული პასუხები ზოგადი იყო და არ იძლეოდა ამომწურავ ინფორმაციას დასმული საკითხის ირგვლივ. ხშირ შემთხვევაში, პასუხები არ შეესაბამებოდა შეკითხვების რეალურ შინაარსს. მაგალითად, კითხვაზე - რა გარემოებებზე დაყრდნობით თქვა უარი სახელმწიფომ ორი სამძებრო-სამაშველო ვერტმფრენის ("HUEY II"-ის) გრანტის წესით შესყიდვაზე და რა ოფიციალური პოზიცია ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს - ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ კითხვა შინაარსობრივად შეეხებოდა ცრუ ინფორმაციას და მიზნად ისახავდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. მისი თქმით, ეს იყო თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დაწყებული მოლაპარაკებები და უგულებელყო, თავისი, როგორც მთავრობის წევრის პასუხისმგებლობა ამ პროცესში, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს უარი სამძებრო-სამაშველო ვერტმფრენის ("HUEY II"-ის) გრანტის წესით შესყიდვაზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ნოემბრის №2363 განკარგულებას ეფუძნებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარი პასუხისმგებლობა გამორიცხა ადრეული გაფრთხილების SMS სისტემის დანერგვის საკითხშიც. მინისტრის თქმით: „სახიფათო ტერიტორიაზე მყოფი ადამიანებისთვის საფრთხის შესახებ 112-ის მიერ შეტყობინების გაგზავნას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი საექსპერტო კვლევები, პროგნოზირება და კატასტროფების რისკის შეფასება. ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი შეტყობინებების გაგზავნა." მისი თქმით, ადრეული შეტყობინების ფართომასშტაბიანი სისტემის განვითარება 2019 წლიდან დაიწყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და თავად შსს-ს მინისტრი არ წარმოადგენს კომპეტენტურ უწყებას.

ოპოზიციონერი დეპუტატების კრიტიკას შოვში დროებითი ხიდის დაგვიანებით აშენებასა (რამაც შემდეგ, შედარებით გაამარტივა გადაადგილება სტიქიის ზონაში) და თავდაცვის ძალების გვიან ჩართვაზე,

ვახტანგ გომელაურმა იმით უპასუხა, რომ დროებითი ხიდი აშენდა არა თავდაცვის, არამედ ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. მან მთავარი კითხვა - რატომ ჩართეს დამატებითი ძალები პროცესში დაგვიანებით და რატომ არ მოწესრიგდა დროებითი ინფრასტრუქტურა უფრო მალე - უპასუხოდ დატოვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლის დროს, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მინისტრი წარმოადგენდა არა ხელისუფლებას, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, არამედ ცალკე უწყებას, რომლის პასუხისმგებლობის მიღმაა ყველა ის საკითხი, რასაც ინტერპელაციის შეკითხვები ეხებოდა.

მინისტრის საათი

მინისტრის საათის ფარგლებში, მთავრობის წევრები წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგენენ მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ.[65] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარსდგა 2023 წლის 21 თებერვალს და სამინისტროს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.[66]

მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავდა 2022 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, სტატისტიკურ ინფორმაციას სხვადასხვა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, შიდა უწყებრივი რეფორმების მიმდინარეობის შესახებ ცნობებს, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დინამიკას და შედეგებს, სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფების ტექნიკური გაძლიერების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. მინისტრის მოხსენებას მოჰყვა საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ კითხვების დასმის ეტაპი, რომელიც საათზე მეტ ხანს გაგრძელ-

[65] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 153, ხელმისაწვდომია: https://matsne. gov.ge/ka/document/view/4401423?publication=51

[66] შინაგან საქმეთა სამინისტრო 2022 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/ministris-saati/2023/1-2308-mia.pdf

და.[67] პარლამენტის წევრების კითხვები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამინისტროს ანგარიშში ასახული თემებით, არამედ უფრო ფართოდ მოიცავდა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. შინაგან საქმეთა მინისტრი დეპუტატების კითხვებს დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში პასუხობდა.[68]

მინისტრის მოხსენების ფარგლებში გამართული კითხვა-პასუხის დროს, კითხვის დასმის ნაცვლად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები მადლიერებას გამოხატავდნენ უწყების საქმიანობის მიმართ და ცდილობდნენ აქცენტი სამინისტროს მუშაობის წარმატებულ ნაწილზე გაეკეთებინათ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა კი, ხშირ შემთხვევაში, მინისტრის საათის ფორმატი იმისთვის გამოიყენეს, რომ მიეღოთ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის შესახებ ის ინფორმაცია, რაც სხვა მექანიზმების გამოყენების დროს ვერ მიიღეს. თუმცა, მათი შეფასებით, მინისტრის პასუხები, არც ამ შემთხვევაში იყო ამომწურავი.

შესაძლოა, შინაარსობრივი თვალსაზრისით მინისტრის მიერ გაცემული ზოგიერთი პასუხი ბუნდოვანი იყო, თუმცა, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ „მინისტრის საათი“ საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმია, რაც პარლამენტის წევრებს აძლევს შესაძლებლობას, გააჟღერონ უწყების საქმიანობასთან დაკავშირებული კითხვები და შენიშვნები. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, კითხვა-პასუხის დროს, მინისტრს არ ჰქონდეს ყველა დასმულ შეკითხვაზე პასუხის ერთობლივად გაცემის უფლება.

ნდობის ჯგუფი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ საქართველოს პარლამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში, ნდობის ჯგუფმა სულ 11 შეხვედრა გამართა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები საანგარიშო პერიოდში

[67] მინისტრის საათი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვახტანგ გომელაურის გამოსვლა (ნაწილი I). ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ptb3ljMCn4E
[68] მინისტრის საათი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვახტანგ გომელაურის გამოსვლა (ნაწილი II). ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=UeJBu8ndd-c

ნდობის ჯგუფის ორ სხდომას დაესწრნენ - 2023 წლის 12 აპრილს და 13 ოქტომბერს.[69] იმის გამო, რომ უცნობია ნდობის ჯგუფის სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ ინფორმაცია, შეუძლებელია ნდობის ჯგუფის საქმიანობაზე შინაარსობრივი მსჯელობა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება. თუმცა, ის ფაქტი, რომ საანგარიშო წლის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ნდობის ჯგუფის მხოლოდ 2 სხდომას დაესწრნენ, ცხადყოფს, რომ ნდობის ჯგუფის საქმიანობა შინაგან საქმეთა სამინისტროზე ზედამხედველობის კუთხით აქტიური არ ყოფილა.

თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2023 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში რამდენჯერ და ვისი ინიციატივით (შესაბამისი ინიციატორის მითითებით) დაიბარეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი საქართველოს პარლამენტის კომიტეტების სხდომაზე (თითოეული კომიტეტის მითითებით), რამდენჯერ გამოცხადდნენ შესაბამისი თანამდებობის პირები კომიტეტზე საკუთარი ინიციატივით და რამდენჯერ იქნა მათი მოსმენა ინიციირებული ოპოზიციური ფრაქციის/ჯგუფის მიერ. მიღებული პასუხის თანახმად,[70] პოლიტიკური ჯგუფის „რეფორმების ჯგუფის“ 2023 წლის 30 მარტის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მიუხედავად რეგლამენტით დადგენილი ვალდებულებისა, შინაგან საქმეთა მინისტრი არ დაესწრო საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომას. პარლამენტიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, მინისტრმა სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად აღნიშნულ პერიოდში საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტი დაასახელა.[71] საგაზაფხულო სესიის მიმდინარეობისას, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის

[69] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი N10704/2-7-1/23.
[70] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი N10705/2-7-1/23 20.12.2023.
[71] იქვე.

სხდომაზე უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებული თანამ-დებობის პირების დაუსწრებლობა იმის მაჩვენებელია, რომ კომიტეტი ვერ უზრუნველყოფს სათანადო საპარლამენტო ზედამხედველობას. ამავდროულად, რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულების დარ-ღვევით, თანამდებობის პირების საპარლამენტო კომიტეტის სხდო-მაზე გამოუცხადებლობა მიუთითებს, რომ უსაფრთხოების სექტორის მხრიდან პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების განცდა უკიდ-ურესად დაბალია.

დროებითი კომისიები, როგორც კონტროლის საშუალება

მე-10 მოწვევის საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის რამდენიმე ინიციატივის შესასწავლი საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას მიეკუთვნება. ასეთ ინიციატივებს წარმოადგენდა:

ა)2021 წელს ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფმა“ წარადგინა დადგენილების პროექტი 2021 წელს 5-6 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. მოგვიანებით, პოლიტიკურმა ჯგუფმა „რეფორმების ჯგუფი“ კვლავ მოამზადა 2021 წლის 5-6 ივლისს თბილისში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტი. საპარლამენტო ოპოზიციიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, დადგენილების პროექტი კენჭისყრაზე არ დადგა, რადგან ოპოზიცი-ონერ დეპუტატებს შორის მოლაპარაკებები უშედეგოდ წარიმართა.[72]

ბ) ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ საქართველოს პარლამენტში 2022 წლის 31 იანვარს წარადგინა დად-გენილების პროექტი საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტის შემსწავლელი

[72] parliament.ge (ვებგვერდი),№ 07-3/163/10, 02.05.2022, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/v1/agenda/909/ToReview/details/76768

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე.[73] ინიციატორის მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ვინაიდან ფრაქციამ ვერ შეძლო საკმარისი რაოდენობის ხმების მობილიზება (ამ პერიოდში პარლამენტმა უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყვიტა დეპუტატ ბადრი ჯაფარიძეს), დადგენილების პროექტი პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე არ დადგა.

გ) საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „საქართველოსთვის“ მიერ ინიციირებული დადგენილების „ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ თაღლითური „ქოლცენტრების“ მეშვეობით ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაულებისა და მათზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ პროექტის ჩასაგდებად, „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა არ გაიარეს კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია და ამგვარი პროცედურული საბოტაჟის გზით ხელი შეუშალეს ოპოზიციის წარმომადგენლებს ესარგებლათ რეგლამენტის თანახმად მათთვის მინიჭებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლებით.[74]

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობასთან კავშირში, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტში 3 დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა არსებობდა, თუმცა ორ შემთხვევებში ოპოზიციის წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს კომისიის შესაქმნელად საკმარისი ხმების მობილიზაცია. ერთ შემთხვევაში, ე.წ. ქოლცენტრებთან დაკავშირებული ინიციატივის დროს კი „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ, საპროცედურო მექანიზმების ბოროტად გამოყენებით, ხელი შეუშალა ოპოზიციის ინიციატივას საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.

---

[73] საქართველოს პარლამენტი, განმარტებითი ბარათი საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/294209

[74] საქართველოს პარლამენტი, „პარლამენტში ე.წ. ქოლცენტრების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს კენჭი ვერ ეყარა“, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentshi-e-ts-koltsentrebis-sakmianobis-shemstsavleli-droebiti-sagamodziebo-komisiis-shekmnis-sakitkhs-kenchi-ver-egara

კონტროლის სხვა მექანიზმები

პარლამენტის რეგლამენტის ახალი რედაქციის ამოქმედებიდან, შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე არ დაუბარებიათ.

3.3. თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაზე 2023 წელს განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი

პარლამენტის წევრის კითხვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ისევე როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, წერილობითი შეკითხვით მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა მიმართეს. თავდაცვის სამინისტროში გაგზავნილი კითხვების აბსოლუტური უმრავლესობა - 28-დან 16 კითხვა დეპუტატ თეონა აქუბარდიას ეკუთვნის. შესაბამისად, რეალურად ძალიან მცირე იყო იმ ოპოზიციონერი დეპუტატების რიცხვი, ვინც თავდაცვის სამინისტროზე ზედამხედველობისთვის პარლამენტის წევრის კითხვა გამოიყენა. საანგარიშო პერიოდში თავდაცვის სამინისტროს მიმართ ზედამხედველობის ამ მექანიზმის გამოყენება უმეტესად 1 დეპუტატის აქტიურობით გამოიხატა.





თავდაცვის სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში 7 კითხვა უპასუხოდ დატოვა. 6 კითხვა დეპუტატ თეონა აქუბარდიას ეკუთვნოდა.[75] იმ კითხვების მეშვეობით, რომლებიც უპასუხოდ დარჩა დეპუტატი თავდაცვის სამინისტროსგან ითხოვდა, როგორც სტატისტიკურ ინფორმაციას (მაგალითად, რამდენი სპეცწოდების მქონე კაცია დასაქმებული სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტსა და სამხედრო პოლიციაში? პროცენტულად ეს მაჩვენებლები რამდენია სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურესთან?)[76] ასევე, სამინისტროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტაციას: თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის სამოქმედო გეგმას და უწყებაში დანამატის გაცემის წესს.[77] იმ შემთხვევაშიც კი, თუ უპასუხოდ დატოვებული ექვსი კითხვიდან რომელიმე სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნებოდა, აღნიშნული ვერ იქნებოდა თავდაცვის სამინისტროს მიერ სადეპუტატო კითხვების იგნორირების საფუძველი, რადგან საქართველოს პარლამენტის წევრ თეონა აქუბარდიას, როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვება აქვს.

მე-7 უპასუხოდ დარჩენილი კითხვის ავტორი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლევან ბეჟაშვილია. პარლამენტის წევრი ითხოვდა ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან წერილზე პასუხების მომზადების პერიოდამდე საქონელსა და მომსახურებაში გაწეული ხარჯების ჩამონათვალს, კომპანიების, შესყიდული საქონლისა და გაწეული მომსახურების დასახლების მითითებით.[78]

---

[75] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/supervision/deputy-question

[76] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/26475

[77] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27886

[78] საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან ბეჟაშვილის კითხვა N7316/3-6/23, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/28805

ოპოზიციონერი დეპუტატების ინტერესის საგანს ასევე წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეების ხელფასების საკითხი,[79] საერთაშორისო სწავლებებში საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობა[80] და „ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების მიმართ უწყების პოზიცია.[81]

თავდაცვის სამინისტროს პასუხები, უმეტეს შემთხვევაში შინაარსობრივია და პასუხობს დეპუტატების კითხვებს.

ის ფაქტი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ კითხვების უმრავლესობა ერთი დეპუტატის მიერ არის გაგზავნილი, ადასტურებს პარლამენტის წევრების მხრიდან დაინტერესების ნაკლებობას. ინტერესის არარსებობის გარდა, შესაძლებელია მიზეზი ასევე იყოს საკმაოდ სპეციფიკურ თავდაცვის სფეროში შესაბამისი კომპეტენციის ნაკლებობაც. თუმცა თვალსაჩინოა, რომ თავდაცვის სამინისტროზე ზედამხედველობის კუთხით, პარლამენტის წევრების კითხვების მექანიზმი მეტწილად რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატის ინდივიდუალურ ინტერესზე და ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

მინისტრის საათი

მინისტრის საათი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მონაწილეობით 2023 წლის 17 ოქტომბერს გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, თავდაცვის მინისტრის მოხსენება ნაკლებად სტრუქტურირებული იყო. თავდაცვის მინისტრმა პარლამენტის წინაშე ისაუბრა უწყების საერთაშორისო თანამშრომლობაზე, შეიარაღების დაგეგმილ შესყიდვებზე, ინფრასტრუქტურულ და ლოჯისტიკურ პროექტებზე, სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე და ადგილობრივი სამხედრო წარმოების განვითარების

[79] საქართველოს პარლამენტის წევრის პაატა მანჯგალაძის კითხვა N745/3-62/23. 25.01.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/26023
[80] საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას კითხვა N3249/3-2/23. 03.05.2023 ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27208
[81] საქართველოს პარლამენტის წევრის თამარ კორძაიას კითხვა N4537/3-53/23. 13.06.2023. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/27819

საკითხებზე.[82] მინისტრის საათი თავდაცვის მინისტრის მოხსენების შემდეგ პარლამენტის წევრების კითხვა-პასუხის ჩათვლით თითქმის 4 საათი გაგრძელდა.[83] პარლამენტის წევრების კითხვები უწყების საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულებას შეეხო. პასუხები, ამ შემთხვევაშიც, ზოგად ხასიათს ატარებდა.

ნდობის ჯგუფი

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, ნდობის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით ნდობის ჯგუფმა 11 შეხვედრა გამართა. პარლამენტიდან მიღებული პასუხის მიხედვით,[84] თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ნდობის ჯგუფის ოთხ სხდომაში მიიღეს მონაწილეობა. ამათგან, 2023 წლის 27 მარტს გამართულ სხდომას ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრი და მისი მოადგილეები; მეორე, 19 ივნისს გამართულ სხდომას თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური და საქართველოს თავდაცვის ძალების ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი; მესამე, 29 სექტემბერს გამართულ სხდომას თავდაცვის მინისტრის მოადგილე და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ხოლო 13 ოქტომბერს - თავდაცვის მინისტრის მოადგილე და შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი. თავდაცვის სამინისტროს ნდობის ჯგუფთან ანგარიშვალდებულების ხარისხი, უსაფრთხოების სექტორის სხვა უწყებებისგან განსხვავებით შედარებით მაღალია. ამ უწყების წარმომადგენლები უფრო ხშირად ესწრებიან ნდობის ჯგუფის სხდომებს და მონაწილეობენ უმაღლესი თანამდებობის პირის - თავდაცვის მინისტრის უშუალო ჩართულობით. ნდობის ჯგუფის საქმიანობის ზოგადი გასაიდუმლოების გათვალისწინებით, შეუძლებ-

[82] საქართველოს თავდაცვის მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის წერილობითი მოხსენება. ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/ministris-saati/2023/burtchuladze_17_10_2023.pdf

[83] მინისტრის საათი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის გამოსვლა. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=caWVje27O9A&t=1s

[84] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი N10704/2-7-1/23 20.12.2023.

ელია უფრო დეტალურად შეფასდეს ნდობის ჯგუფის მიერ თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაზე განხორციელებული ზედამხედველობა.

თანამდებობის პირის კომიტეტის სხდომაზე დაბარება

საქართველოს პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით,[85] „რეფორმების ჯგუფმა“ და პოლიტიკურმა ჯგუფმა „საქართველოს-თვის“ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე 2023 წლის 22 ივნისის მოთხოვნის საფუძველზე დაიბარა. მოწვევის ინიციატორი დეპუტატის განცხადებით, მინისტრის მოწვევა ვაზიანის სამხედრო ბაზასთან ახალი აეროპორტის მშენებლობის საკითხის განხილვის მიზნით გადაწყდა.

პარლამენტიდან მიღებული კიდევ ერთი პასუხის მიხედვით, მინისტრს კომიტეტის სხდომაზე მოუსმინეს, თუმცა წერილში დაზუსტებული არაა მინისტრის მოსმენის თარიღი. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ არც პარლამენტის ვებგვერდზე იძებნება.[86]

ამასთან, პარლამენტის აპარატისგან მიღებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს თავდაცვის მინისტრი საკუთარი ინიციატივით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომას არ დასწრებია.

კონტროლის სხვა მექანიზმები

პარლამენტის რეგლამენტის ახალი რედაქციის ამოქმედების დღიდან თავდაცვის მინისტრის ინტერპელაციის წესითა და თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე დაბარების მექანიზმი გამოყენებული არ არის.

[85] საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი N10705/2-7-1/23 20.12.2023.
[86] ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/supervision/committee-attendances

4. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის ანგარიში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის 2022 წლის ანგარიშის კრიტიკული შეფასება დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის 2023 წლის შუალედურ ანგარიშშია[87] წარმოდგენილი. ვინაიდან, სამსახურის უფროსი ანგარიშს წელიწადში ერთხელ წარადგენს და საანგარიშო პერიოდში ახალი ანგარიშის განხილვა არ მომხდარა, წინამდებარე დოკუმენტში მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ანგარიშის პლენარულ სესიაზე მოსმენასთან დაკავშირებული ხარვეზებია მიმოხილული.

საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში პლენარულ სხდომაზე 2023 წლის 19 ოქტომბერს მოისმინა. გასული წლების მსგავსად, პარლამენტმა უარი თქვა სხდომის საჯაროობაზე და ანგარიშის წარდგენის შემდეგ დეპუტატებთან კითხვა-პასუხის ნაწილი დახურა.

სუს-ის უფროსის მოხსენება ზედმიწევნით იმეორებდა სამსახურის საქმიანობის წლიური ანგარიშის ტექსტს, რომელიც დიდი ხანია გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ვებგვერდებზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის განხილვის ნაწილის დახურვით, საზოგადოებას არ მიეცა შესაძლებლობა სუს-ის უფროსისგან მიეღო ინფორმაცია აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უკიდურესად ზოგად ანგარიშში არ ასახულა. პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ ხელმისაწვდომი ანგარიშის წაკითხვისას, სუს-ის უფროსმა გაიმეორა ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი ტერმინოლოგია, რომელიც ართულებდა აღქმას, თუ ვის გულისხმობდა სუს-ი საფრთხის და დესტაბილიზაციის წყაროში - სამოქალაქო ორგანიზაციებს, თუ პრორუსულ ულტრამემარჯვენე ჯგუფებს. სუს-ის შეფასება

[87] democracyresearch.org (ვებგვერდი), „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები“ გვ. 38, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.democracyresearch.org/files/2871.09.2023%20geo%20(1).pdf

კიდევ უფრო ორაზროვანი და ბუნდოვანი ჩანდა სუს-ის მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვებზე დაბარების, მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ ე.წ. „აგენტების შესახებ“ კანონის ინიციირებისა და „ალტ ინფოს“ და სხვა ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების უკონტროლო და დაუსჯელი ძალადობრივი ქმედებების ფონზე. ანგარიშის განხილვის კითხვა-პასუხის ნაწილის დახურვით, საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელი დარჩა ინფორმაცია ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფარცხალაძის რუსულ სპეც სამსახურებთან კავშირის თაობაზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ სუს-ის საქმიანობის ანგარიშის როგორც საკომიტეტო, ისე პლენარულ სხდომაზე, განხილვა საჯარო არ ყოფილა, შეუძლებელია შინაარსობრივი მსჯელობა საპარლამენტო განხილვის და ზედამხედველობის ეფექტურობის შესახებ. განხილვის პროცესის სრულიად დახურულად წარმართვა დემოკრატიული ზედამხედველობის ეფექტურობას იმთავითვე საეჭვოს ხდის, რადგან საზოგადოებას არ ეძლევა შესაძლებლობა თავად შეაფასოს და მიიღოს ინფორმაცია სუს-ის საქმიანობის რომელიმე მიმართულებაზე. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, კითხვა-პასუხის პროცესის სრულად დახურვის ნაცვლად, ამ საკითხზე დიფერენცირებულად იმსჯელოს და ისეთი კითხვების შემთხვევაში, რომლებიც საიდუმლო ინფორმაციის შემცველი ფაქტების განხილვას არ მოითხოვს, ნაწილობრივ გაასაჯაროოს.

ძირითადი მიგნებები

- 2018 წელს, საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტის ამოქმედებით, გაუმჯობესდა საპარლამენტო კონტროლის მექანიზ-მები, თუმცა დარჩა მთელი რიგი ნაკლოვანებები;
- ევროპული კომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების პროცესში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, საპარლამენტო ზედამხედველობის მიმართულებით არაერთი ხარვეზი დარჩა;
- საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები საპარლამენტო ოპოზი-ციისთვის ლიმიტირებულია; ხშირ შემთხვევაში კონტროლის მექანიზმების ამოქმედება დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავ-ლესობის თანხმობაზე;
- მმართველ პარტიას არ გააჩნია უსაფრთხოების სექტორზე საპარ-ლამენტო ზედამხედველობის განსახორციელებლად პოლიტიკური ნება;
- ეფექტიანი ზედამხედველობის განსახორციელებლად, საქარ-თველოს პარლამენტის წევრებმა უფრო აქტიურად უნდა გამო-იყენონ მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული ზედამხედ-ველობის მექანიზმები;
- ნდობის ჯგუფის საქმიანობაში ოპოზიციის როლი შეზღუდულია;
- საქართველოს პარლამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფ-ასოს ნდობის ჯგუფის საქმიანობა, ვინაიდან ნდობის ჯგუფის შეხვედრები დახურულია; რეგლამენტის თანახმად კი, ნდობის ჯგუფს არ აქვს ვალდებულება, პარლამენტს ჩააბაროს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;
- უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება დაბალია. თანამდებობის პირები კომიტეტის სხდომაზე რეგლამენტით დადგენილი წესით დასწრებ-ის მოთხოვნის მიუხედავად, სხდომაზე არ ცხადდებიან;
- საპარლამენტო ოპოზიციას არ აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე დამო-უკიდებლად დაბარების შესაძლებლობა;
- საანგარიშო პერიოდში ყველაზე ნაკლები წერილობითი კითხვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გაეგზავნა;

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ყველა წერილობით კითხვას უპასუხა;
- საანგარიშო პერიოდში უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში 103 წერილობითი კითხვა გაიგზავნა, აქედან 17 უპასუხოდ არის დარჩენილი;
- უმრავლესობის წარმომადგენლებმა, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და თავდაცვის სამინისტროს არცერთი წერილობითი კითხვა არ გაუგზავნეს;
- პარლამენტის წევრების მიერ დასმული შეკითხვების ანალიზი ცხადყოფს, რომ პარლამენტის დარგობრივ კომიტეტებთან არსებობს კვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფის არსებობის საჭიროება, რომელიც კონსულტაციას გაუწევდა და დაეხმარებოდა პარლამენტის წევრებს, გააფართოონ ზედამხედველობის შინაარსობრივი არეალი;
- ინტერპელაციის მექანიზმი 2023 წელს პირველად გამოიყენეს შინაგან საქმეთა მინისტრთან მიმართებით;
- ინტერპელაციის მექანიზმი 2018 წლის დეკემბრიდან დღემდე, არცერთხელ არ გამოყენებულა თავდაცვის მინისტრთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან მიმართებით;
- საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების კომიტეტზე დაბარების მექანიზმი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოიყენეს. შინაგან საქმეთა მინისტრი სხდომაზე არ გამოცხადდა;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან მიმართებით კომიტეტის სხდომაზე დაბარების მექანიზმი არ გამოყენებულა;
- პლენარულ სხდომაზე დაბარების მექანიზმი უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ხელმძღვანელების მიმართ 2018 წლის დეკემბრიდან არ გამოუყენებიათ;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულებების დასაიდუმლოება ხელს უშლის ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების არაპროპორციულად მაღალ ვადებს ითვალისწინებს, რაც ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას ხელს უშლის;

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოტოვებულია ან ფორმალურადაა მოხსენიებული, კონკრეტული ანალიზის და საქ-მიანობის შედეგების წარმოდგენის გარეშე;
- საქართველოს პარლამენტმა კვლავ გააგრძელა დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, კითხვა-პასუხის რეჟიმი დახურულ ფორმატში გააგრძელა;
- მიუხედავად რეგლამენტში შესული ცვლილებისა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში საკომიტეტოს მოსმენაზე კვლავ სამსახურის უფროსის მოადგილემ წარადგინა, რაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დარ-ღვევას წარმოადგენს.